პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი
# Боевой страж

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

შაბათი 2 ივნისი, 1990 წელი ● № 28 (2900) ● СУББОТА, 2 ИЮНЯ 1990 г.

## 1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა



## სხვადასხვა ინფორმაცია

**25 მაისს** ახალგაზრდობის ქალაქში გაიმართა საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის დამფუძნებელი ყრილობა, რომელმაც მიიღო დადგენილება საქართველოს ახალგაზრდობის კავშირის შექმნის, მისი იურიდიული უფლებამოსილებისა და მემკვიდრეობითობის შესახებ.

ორგანიზაციის ხელმძღვანელ ორგანოდ ყრილობამ აირჩია დროებითი სათათბირო.

**თბილისში** 1 ივლისიდან 15 აგვისტომდე ეწყობა ქართველოლოგთა საერთაშორისო სკოლა-სემინარი, რომელიც იმოქმედებს თსუ-ს ბაზაზე.

**საქართველოს** დემოგრაფიულმა საზოგადოებამ გამოაცხადა კონკურსი „მშობელთა დიდების" ორდენისა და „ქართვლის დედის" საპატიო წოდების სამკერდე ნიშნის საუკეთესო პროექტისათვის.

**დაიწყო** სსრ კავშირის პრეზიდენტის ოფიციალური ვიზიტი კანადასა და ამერიკაში.

**რუსეთის** უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია ბ. ელცინი.

## ახალი გაზეთი

**26 მაისს** გამოვიდა საქართველოს იურისტთა კავშირის გაზეთის „ცხოვრება და კანონის" პირველი ნომერი, რომელიც გააშუქებს სამართლებრივ, პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და სოციალურ საკითხებს. გაზეთის სახელწოდება ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილების ერთი სერიის სათაურია. სარედაქციო საბჭოს აზრით პირველი სამართლებრივი იურიდიული გაზეთი უნდა ამბობდეს კომპეტენტურ სიტყვას დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პარლამენტურ გზაზე, მან უნდა შეძლოს ქართველი სწავლული იურისტების შემოკრება და მისი ეროვნული მოძრაობის სამსახურში ჩაყენება. სწორედ ამ საკითხებზე მსჯელობენ გაზეთის პირველ ნომერში უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ა. კარანაძე, რესპუბლიკის პროკურორი ვ. რაზმაძე, იუსტიციის მინისტრი ვ. შარაშენიძე და იურისტთა კავშირის თავმჯდომარე ზ. რატიანი. ნომერში დაბეჭდილია ლ. ალექსიძის წერილი „დემოკრატიული საქართველოს რესპუბლიკის დაბადების დღე", საუბარი სამართლის კვლევის დამოუკიდებელი ცენტრის დირექტორთან თ. შავგულიძესთან, თ. ქლენტის „საქართველო ამერიკელი ჟურნალისტის [illegible]ალით" და სხვა.

---

5 ივნისი გარემოს დაცვის დღეა

## ატმოსფერული ჰაერის სისუფთავისათვის

**მიმდინარე** წლის მარტში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება რესპუბლიკის მთავრობის დადგენილება ქალაქების, სხვა დასახლებული პუნქტების და სამრეწველო ცენტრების ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანების თავიდან აცილების თაობაზე და აღნიშნა, რომ დადგენილების მოთხოვნები არ სრულდება. შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების მუშაობა ამ მხრივ მიჩნეულია სრულიად არადამაკმაყოფილებლად.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა უმოკლეს დროში შეიმუშაოს სისტემა, რომელიც გამორიცხავს რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის გამონაბოლქვი გაზების ტოქსიკურობის დადგენილი ნორმების დარღვევას. მკაცრი კონტროლი გაუწიოს საკონტროლო-მარეგულირებელი პუნქტების მუშაობას, მავნე ნივთიერებათა გამონაფრქვევის გაზომვის სისწორესა და მძღოლებისათვის ტოქსიკური კონტროლის ტალონების გაცემას. ტოქსიკური გამონაფრქვევის დადგენილი ნორმის დარღვევის ყველა ცალკეულ შემთხვევაში, დაჯარიმების გარდა, დაუყოვნებლივ უნდა აღიკვეთოს ავტომანქანების ექსპლუატაცია. მათ სრულ გამართვამდე. (მასალას აღნიშნულ თემაზე შემოგთავაზებთ შემდეგ ნომერში).

* * *



**სურათზე:** თბილისის ხახვტოინსპექციის თანამშრომლები — მილიციის ზემდეგი ა. ხაყვარელიძე და უმცროსი სერჟანტი ლ. რევიშვილი ატმოსფერული ჰაერის დაცვის მოძრავი ავტო-ლაბორატორიის საშუალებებით კონსტიტუციის მოედანზე ავტომანქანების შემოწმების დროს.

ბ. ბიაშვილის ფოტო.

## მამის კვალდაკვალ

**მრავალი** შვილი ერის დიდებაა, განსაკუთრებით ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა.

ოთხ შვილს უზრდის სამშობლოს ქედის შს რაიგანყოფილების სამორიგეო ნაწილის მორიგის თანაშემწე მილიციის სერჟანტი შუქრი ბერიძე. იგი მამის კვალზე (მამამ 28 წელი იმსახურა შს ორგანოებში) წავიდა და პატიოსნად აგრძელებს ოჯახურ ტრადიციას — მრავალჯერაა წახალისებული, დაჯილდოებულია „მილიციის ფრიადოსნის" სამკერდე ნიშნით.

* * *

**სურათზე:** შ. ბერიძე ოჯახის წევრებთან ერთად თამარის ხიდზე.

ბ. მგალობლიშვილის ფოტო.



## НАЗНАЧЕНИЯ

**Приказом министра внутренних дел Грузинской ССР назначены:**

— на должность заместителя министра внутренних дел Абхазской АССР, он же начальник следственного отделения — подполковник милиции **Серго Дзикович Тундия;**

— на должность начальника политического отдела МВД Абхазской АССР — подполковник милиции **Нармания Ингиштер Саввович;**

— на должность начальника УВД Сухумского горисполкома — майор милиции **Начкебия Лаврентий Шотаевич;**

— на должность заместителя начальника УВД Сухумского горисполкома по политической части — подполковник милиции **Джинджория Владимир Ванович;**

— на должность начальника Тетрицкаройского РОВД— подполковник милиции **Сулава Тамази Акакиевич;**

— на должность начальника Душетского РОВД — подполковник милиции **Мелицкаури Зураб Михайлович;**

— на должность начальника Чиатурского ГОВД—подполковник милиции **Надирадзе Леван Шалвович;**

— на должность начальника Хонского РОВД — майор милиции **Чикобава Муртаз Кикиевич;**

— на должность начальника Местийского РОВД — старший лейтенант милиции **Тордиа Георгий Гивиевич;**

— на должность начальника Потийского ГОВД — **Чанкашвили Карло Георгиевич.**

**Действенным средством оценки морально-деловых качеств и профессиональной подготовки сотрудников органов внутренних дел является их периодические аттестации. Об основных итогах проводившейся в течение последних трех лет работы по аттестации личного состава министерства рассказывает сегодня заместитель начальника УК МВД ГССР подполковника милиции Р. ХУБУЛИЯ.**

# ПОДВОДЯ ИТОГИ ПРОДЕЛАННОЙ РАБОТЫ

**СОВРЕМЕННОМУ** этапу происходящей в стране перестройки, теснейшим образом связанному с необходимостью существенного повышения роли человеческого фактора во всех сферах жизни нашего общества, требуются компетентные, обладающие высокой культурой политического и профессионального мышления кадры.

На определение качественного управления, степени дееспособности личного состава ОВД в условиях возросших требований и были направлены требования приказа МВД СССР 1987 г. «Об утверждении Инструкции об аттестовании лиц рядового и начальствующего состава органов внутренних дел».

В отличие от прежних аналогичных документов, приказ особо акцентировал внимание на необходимости проведения этого мероприятия в условиях строгой принципиальности и взыскательности в оценках политических, деловых и личных качеств аттестуемых работников. Эту работу предусматривало сь развернуть с начала 1988 г. и поэтапно завершить в декабре 1989 г.

В связи с необходимостью оказания помощи отраслевым службам, органам и подразделениям внутренних дел республики в правильном и качественном проведении этого важного мероприятия, в котором должен был принять непосредственное участие руководящий состав всех уровней, Управлением кадров министерства было разработано и разослано на места специальное указание, в котором были сформулированы конкретные методические рекомендации, установлены поэтапные сроки выполнения этой работы.

Помимо дачи общих методических рекомендаций, руководителям местных органов и подразделений оказывалась конкретная практическая помощь путем систематических специальных командировок сотрудников отдела комплектования.

Было определено, что всего в МВД Грузинской ССР предстояло проаттестовать около 17 тысяч сотрудников начальствующего и рядового состава.

Принятыми мерами удалось достичь того, что большинство служб, органов и подразделений внутренних дел республики успешно справились с поставленной перед ними задачей по своевременному и качественному составлению служебных аттестаций. Наилучшие результаты в этой работе были достигнуты Оргинспекторским отделом, Управлением ГАИ, УПО, ХОЗУ, ГУВДТ министерства, МВД Аджарской АССР, УВД Юго-Осетинского облисполкома, Руставским, Горийским, Потийским ГОВД, Богдановским, Дманисским, Зестафонским, Каспским, Маяковским и рядом других РОВД.

Однако, как показали промежуточные контрольные проверки, проводившиеся сотрудниками Управления кадров, в ходе выполнения этой работы далеко не все руководители органов и подразделений сумели сначала же с должным вниманием и ответственностью оценить значительность этого мероприятия. Недостаточная степень непосредственного участия таких руководителей в организация работы по аттестованию подчиненного им личного состава, самоустранение их от обязательного личного контроля за ходом аттестования приводили, с одной стороны, к нарушению поэтапных сроков выполнения этой работы, а с другой—к крайне низкому уровню качества значительной части составлявшихся аттестаций, которые страдали шаблонной безликостью, отсутствием принципиальной взыскательности и поэтому не давали полного и четкого представления об истинных деловых качествах аттестуемых. Значительную часть подобных бессодержательных аттестаций приходилось возвращать на доработку, что приводило к непроизводительной трате времени.

Наиболее существенными недостатками, невнятностью оценок профессиональных и деловых качеств аттестуемых были отмечены аттестации, представленные кадровыми аппаратами МВД Абхазии, Зугдидского и Ткибульского ГОВД, Ахалцихского, Болнисского, Кварельского, Ланчхутского, Марнеульского, Местийского, Озургетского, Сенакского, Тианетского, Цаленджихского, Чхороцкуйского и ряда других РОВД. Половина полученных из данных подразделений аттестаций была составлена заново, для того чтобы была возможность рассмотреть их на заседании аттестационной комиссии.

Слабая работа созданных при отраслевых службах аттестационных комиссий, безответственное отношение некоторых руководителей ОВД да и создавшаяся в республике напряженная оперативная обстановка осложнили своевременное и качественное проведение руководством министерства дополнительных мероприятий и только путем мобилизации всего личного состава Управления кадров стало возможным частично выправить положение.

В целом, намеченный планом объем работы был выполнен, проаттестованы тысячи сотрудников, однако из-за отмеченных выше недостатков остались неаттестованными 139 офицеров. Задолженности остались в этом плане у УУР, УООП, УО, УИД, УБХСС, УПО, также остались неаттестованными 6 руководителей ГОРОВД.

При подведении итогов аттестации за 1986—1989 гг. выявилось, что признаны несоответствующими занимаемым должностям 104 сотрудника, из них 57 сотрудников с учетом возраста и выслуги лет отпущены из ОВД, 47 уволены по отрицательным мотивам. Более тысячи сотрудников признаны заслуживающими повышения и соответственно будут зачислены в резерв для повышения.

В целом же, полная реализация итогов проведенной служебной аттестации будет способствовать повышению качества кадров органов внутренних дел, создаст условия и возможности располагать сотрудниками, обладающими высокими моральными и профессиональными качествами, соответствующими высокому званию стражей правопорядка, освободиться от тех лиц, которые не соответствуют сегодняшним требованиям.

Анализ этой значительной как по содержанию и целенаправленности, так и по объему работы наводит на определенные размышления, а именно: отдавая должное сути служебного аттестования как одной из наиболее действенных форм периодической исчерпывающей оценки качеств сотрудника, нельзя не отметить того, что в ряде случаев непомерное увлечение ею становится, как это ни парадоксально, помехой на пути... эффективной работы с кадрами. Чувствуя, что эта мысль требует пояснений, напомню, что ни одно, даже незначительное продвижение сотрудника по службе, по действующей ныне инструкции не может быть осуществлено без составления внеочередной служебной аттестации на этого сотрудника.

Мы были бы благодарны всем нашим сослуживцам, коллегам по министерству, кто проявит участие своими конкретными предложениями, направленными на дальнейшее совершенствование одного из наиболее существенных участков нашей жизнедеятельности — работы с кадрами.

Записал **А. ЦАТУРОВ.**

**საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კულტურის სახლი საქალაქო და რაიონულ განყოფილებებთან ერთად ატარებს შეხვედრებს ქალაქებში და რაიონებში ადგილობრივ მოსახლეობასთან. ღონისძიება ტარდება დევიზით „მილიციის ძალა ხალხთან ერთობაშია“. ამ შეხვედრებში მონაწილეობას იღებენ მილიციის რაიგანყოფილებების უფროსები და უბნის ინსპექტორები.**

# ცხოვრებისეული აუცილებლობა უნდა გახდეს

**ᲓᲦᲘᲗᲘ** დღე რთულდება ოპერატიული ვითარება რესპუბლიკაში. ამ რთულ დროს დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება უბნის ინსპექტორს. მართლაც მის შრომაზე, გულისხმიერებაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. უბანი — ამ პატარა სიტყვაში ჩატეულია ათასობით ადამიანის ყოფაცხოვრება, ყოველდღიური პრობლემები. ხალხთან შეხვედრისას მათი სატკივარის გულთან მიტანა, წესრიგის დამყარება უბნის ინსპექტორის სამსახურებრივი მოვალეობაა.

კაცზე, რომელზეც ჩვენ გვინდა ვისაუბროთ არის ჩოხატაურის შს რაიგანყოფილების უბნის ინსპექტორი, მილიციის კაპიტანი გოჩა დოლიძე. ჩოხატაურელი ახალგაზრდა 1971 წლიდან დემობილიზების შემდეგ მუშაობას იწყებს შს ორგანოებში, მილიციელად. 1978 წელს დაამთავრა სსრკ შსს მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტი. მილიციის სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა შს ორგანოებში სხვადასხვა თანამდებობებზე. 1989 წლიდან მუშაობს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ბუკისციხის უბნის ინსპექტორად. მის სამოქმედო უბანში ექვსი სასოფლო საბჭოა და 4,5 ათასი მაცხოვრებელია.

გოჩა ხშირად ხვდება სოფლის მშრომელებს. ამ ხნის მანძილზე დიდი მუშაობა გასწია დანაშაულის ალკვეთის პროფილაქტიკის საქმეში. მოსახლეობასთან შეხვედრების დროს იგი განსაკუთრებით აღნიშნავს მილიციის მუშაობის სპეციფიკურ სირთულეებს, იმას, რომ საერთო ძალისხმევით უნდა გადაიჭრას მრავალი პრობლემატური საკითხები, რათა წესრიგის დამყარება ყველასთვის ცხოვრებისეული აუცილებლობა გახდეს.

გ. დოლიძეს დაკავებული ჰყავს არაერთი მანქანის გამტაცებელი, კანონიერების დამრღვევი და საკავშირო ძებნილი. მის რწმუნებულ უბანში დანაშაულის საგრძნობი კლებაა, რაც ნაყოფიერი შრომის შედეგია. მას აქვს მიღებული მადლობები და ორი მედალი, ორგანოებში უმწიკვლო სამსახურისათვის.

**თ. კობახიძე.**



# ЗА БЕЗОПАСНОСТЬ ДВИЖЕНИЯ

**СТАТИСТИКА** дорожно-транспортных происшествий свидетельствует о чрезвычайно серьезном положении на автомобильных дорогах республики. И вряд ли может служить утешением то обстоятельство, что темпы роста аварийности у нас в республике ниже, чем в среднем по стране.

Работниками ГАИ МВД ГССР ведется решительная борьба с нарушителями дорожно-транспортных происшествий. В мае месяце нынешнего года во всех регионах республики были проведены рейды с участием сотрудников ГАИ и других служб районных отделов внутренних дел. Наш корреспондент попросил начальника отделения ГАИ Марнеульского РОВД капитана милиции А. Шубитидзе рассказать о проделанной работе во время месячника безопасности движения.

— В ходе проведенных мероприятий в период с 14 по 24 мая, в которых приняли участие инспектор административной практики Марнеульского РОВД лейтенант милиции Д. Барткулашвили, инспекторы ДПС сержант милиции Г. Кикнадзе и рядовые З. Андиашвили и Н. Юсубов, было выявлено всего 423 нарушения. Из них: задержаны водители автомобилей в нетрезвом состоянии — 26 человек, за превышение скорости — 87, за обгон — 101, за другие нарушения — 210 человек. Сотрудниками отделения ГАИ составлено 38 протоколов и оштрафовано 385 нарушителей.

Работа в этом направлении продолжается.



## Только факты

● 30 мая с. г. в 14 ч. в центральном универмаге г. Ахалцихе Роберт К., 1964 года рождения, ранее судимый, рабочий Ахалцихской швейной фабрики, проживающий таж же по ул. Тамарашвили, 5, из кассы галантерейной секции совершил кражу 200 руб. и был задержан.

● 27 мая с. г., в 18 ч. около с. Кандаура, во время ссоры Роман Т., 1939 года рождения, пастух колхоза указанного села, выстрелом из закрепленного за ним охотничьего ружья убил Тариела С., 1964 года рождения, пастуха указанного колхоза, проживающего там же. Роман Т. задержан.

**ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ** ავტოინსპექტორებზე ჩემი სუბიექტური შეხედულება მაქვს, ისეთი, როგორც ყველა ავტომანქანის მძღოლს — ცუდი, (უხეშობა, უზრდელი დამოკიდებულება მძღოლებთან და სხვა უწესობანი) მაგრამ ერთმა შემთხვევამ მთლიანად შემიცვალა ჩემი შეხედულება ავტოინსპექტორების მიმართ.

გასული წლის 8 ოქტომბერს (შაბათს) ჩემი ოჯახით — მეუღლითა და მცირეწლოვანი (ათი თვის) ბავშვით ვბრუნდებოდი საკარმიდამო ნაკვეთიდან — თბილისში. თეთრიწყაროს რაიონის სოფელ კოდასთან გამიფუჭდა მანქანა, რომლის შეკეთება ჩემს შესაძლებლობას აღემატებოდა. დიდხანს ვიდექით უმწეო მდგომარეობაში. ამ

### მადლობის სტრიქონები

# გულისხმიერება

დროს მოგვიახლოვდა სახელმწიფო ავტოინსპექტორი მანქანით და გვკითხა გაჭირვების მიზეზი.

მე ავუხსენი მდგომარეობა, რის შემდეგ მან დაიკაპიწა ხელები და ორი საათის განმავლობაში ცდილობდა აღედგინა დაზიანებული ნაწილი („ბენზონასოსი“) რომელიც შეაკეთა, მაგრამ დამატებით სხვა ხარვეზებიც აღმოჩნდა, იგი თავისი ავტომანქანით გაემგზავრა უახლოეს ავტოტექმომსახურეობის სადგურში, მოიყვანა შესაბამისი ხელოსანი და მასთან ერთად მოაწესრიგა დანარჩენი ხარვეზებიც.

დიდი თხოვნის შემდეგ მან გაგვაცნო თავისი ვინაობა. იგი აღმოჩნდა ბოლნისის მოტომექანიზებული ნაწილის ინსპექტორი ავთანდილ ტრისტანის ძე ჩაჩანიძე, რომელმაც გამოიჩინა უდიდესი ადამიანური გულისხმიერება — დაგვითმო დიდი დრო და გაჭირვებული ადამიანები არ მიგვატოვა მარტოდ, უყურადღებოდ.

ბედნიერი ვართ, რომ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში არიან ასეთი წესიერად აღზრდილი, გულისხმიერი ადამიანები.

**ბ. ჩიკლაური**

**საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს უფროსი კონტროლიორ-რევიზორი ქ. თბილისში.**

სასამართლო დარბაზიდან

# მწარეა ასეთი პურის გემო...

ისინი ნუგზარ მანწკავას ინიციატივით შეიკრიბნენ. ელიზბარ ბენდელიანი, ჯუმბერ გიგინეიშვილი და რევაზ გოგეშვილი — ოთხივე ლანჩხუთის რაიონის სოფელ კიროვის მკვიდრნი მეგობრული ურთიერთობით იყვნენ დაკავშირებული ერთმანეთთან.

იმ დღესაც ერთ მაგიდას შემოუსხდნენ, მოლაპარაკებას მანწკავა ხელმძღვანელობდა, მისი წინადადებით მეგობრები მათივე სოფელში მცხოვრებ ალექსანდრა და ფეოდორა გიგინეიშვილების ბინას უნდა დასხმოდნენ ყაჩაღურად და მათი კუთვნილი ქონება გაეტაცებინათ.

ღრმად სწამდათ, რომ არჩევანი გაუმართლებდათ. მოხუცებული დები ფეოდორა და ალექსანდრა მარტონი ცხოვრობდნენ საკუთარ სახლში, პენსია ხომ რიგიანი ჰქონდათ და გარდა ამისა მოხუცებულობის მიუხედავად აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდნენ — გამოჰყავდათ აბრეშუმის პარკი კრეფდნენ ჩაის და დანაზოგსაც დანაზოგი ემატებოდა.

პირველი შეკრება უშედეგო აღმოჩნდა, ელიზბარ ბენდელიანმა ვერ მოახერხა მშობლებისათვის სახლიდან ღამით გასვლის მიზეზი აეხსნა და ამიტომაც შეკრების ადგილზე ვერ გამოცხადდა. დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებს კი არ სურდათ ყაჩაღობის ჩასადენად ბენდელიანის გარეშე წასვლა — ასე თუ ისე, ციხეში გატარებული ოთხი წელი არც თუ ისე მცირე „სტაჟი" იყო მისი ასაკის კაცისათვის. მის ცდაში კი მეგობრებს დაათენდათ და შეხვედრაც შემდგომისათვის გადაიდო.

მორიგი შეხვედრა 1989 წლის 26 ივლისს შედგა ქ. ლანჩხუთის სტადიონზე, მეგობრებმა გადაწყვიტეს თავდასხმა აღარ გადაედოთ და მეორე დღისათვის განეხორციელებინათ. საჭირო გეგმაც შეიმუშავეს.

27 ივლისს სოფელ ლესის ჩაის ფაბრიკასთან შეიკრიბნენ. ჯუმბერ გიგინეიშვილზე გაპიროვნებული „გაზ-53" მარკის (სახ. № 94-51 გალ) სატვირთო ავტომანქანით ოთხივენი სოფელ ხაჯალიაში მცხოვრებ კალაძის ოჯახს ესტუმრნენ და სიმხნევისათვის გზაზე ნაყიდი არაყი დალიეს.

ღამის ორ საათზე მთვრალ მდგომარეობაში მყოფი დანაშაულებრივი ჯგუფი სოფელ კიროვისაკენ გაემგზავრა განზრახვის სისრულეში მოსაყვანად. სიფრთხილის მიზნით, ავტომანქანა ალექსანდრა და ფეოდორა გიგინეიშვილების სახლიდან მოშორებით გააჩერეს, მდინარე ღვევლისწყლის ახლოს, ნუგზარ მანწკავამ და ელიზბარ ბენდელიანმა ტანსაცმელი გამოიცვალეს, რომელიც მათთვის წინასწარ ჰქონდა მომზადებული ჯუმბერ გიგინეიშვილს. რევაზ გოგეშვილმა მონადირის დანა მოიმარჯვა, ელიზბარ ბენდელიანმა შავტარიანი სამზარეულოს დანა, ნუგზარ მანწკავამ, რომლისათვისაც ცნობილი იყო ალექსანდრასა და ფეოდორას სახლის გეგმა —, მეგობრები ეზოს უკანა მხრიდან მისასვლელი გზით მიიყვანა.

ცივი იარაღითა და თავზე ქალის წინდით „შემოსილმა" ახალგაზრდებმა უეცარი თავდასხმის მიზნით გადაწყვიტეს ბინის ორივე მხრიდან თავდასხმა, კარებები ჩამოგლიჯეს, თავში დარტყმით გაუვნებელყოთ დამხვდურები და მათ ქონებას დაუფლებოდნენ.

თავდასხმა გეგმის მიხედვით მიმდინარეობდა, ხმაურზე გამოღვიძებულ ქალების კითხვა, რომელი ხართ მანდო? თავის არეში დანის ტარის დარტყმამ „მიაჩუმა". მას შემდეგ მათი ხმა არავის გაუგონია, არც მეგობრებს მიუქცევიათ ყურადღება, დრო არ ითმენდა, ორი საათის განმავლობაში ეძებდნენ ფულსა და ძვირფასეულობას.

3850 მანეთი, 190 მანეთის 1954-56 წლებში გამოშვებული ობლიგაციები, 262 მანეთისა და 04 კაპიკის ღირებულების ოქროს ბეჭედი, ერთი ცალი ოქროსთვლიანი ბეჭედი, „ოქროს კბილის" „ჩიხოლი", ოქროს კულონი ძეწკვის ნაწილით — მთლიანად 4302 მანეთის ღირებულების საქონელი.

თვითეულს 1042 მანეთისა და 91 კაპიკის ქონება შეხვდა თუ არ ჩავთვლით ნუგზარ მანწკავას „ერთგულებას" მეგობრებისადმი, რომელმაც საერთო თანხიდან 450 მანეთი გადამალა.

დები ალექსანდრა და ფეოდორა გიგინეიშვილები კი შეიწირა ამ ახალგაზრდა „ვაჟკაცების" ვითომდა „მხოლოდ ყაჩაღურმა" თავდასხმამ.

ოცდახუთი წლის ასაკში ელიზბარ ბენდელიანისათვის ეს უკვე მეორე ნასამართლობაა — 15 წლით თავისუფლების აღკვეთა ქონების კონფისკაციით, ასეთია სასამათლოს განაჩენი.

ოცდახუთი წლის ნუგზარ მანწკავას, ოცდაოთხი წლის ჯუმბერ გიგინეიშვილს და ოცდაორი წლის რევაზ გოგეშვილს სასამართლომ მიუსაჯა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა ქონების კონფისკაციით.

კ. ანდრიაძე.

## МИЛИЦЕЙСКИЕ БУДНИ

● Всего три года служит в органах милиции оперуполномоченный БХСС Кобулетского РОВД старший лейтенант милиции Автандил Ананидзе, однако за время службы он показал себя с положительной стороны, за что внесен в книгу передовых сотрудников райотдела.

● Лейтенант милиции Теймураз Кусикашвили в органы МВД пришел в 1977 году, а после окончания Тбилисского факультета Московской высшей школы милиции МВД СССР работает оперуполномоченным уголовного розыска в Сигнахском РОВД, отличник милиции, поощрен медалью «За безупречную службу».

● Оперуполномоченный ОУР старший лейтенант милиции Важа Болквадзе, госавтоинспектор Тариел Болквадзе и оперуполномоченный БХСС майор милиции Реваз Кахидзе — передовые сотрудники Хулойского РОВД—совместно решают проблемы оперативной работы.

● Старший инспектор службы майор милиции Джемал Эрадзе работает в Гурджаанском РОВД более 27 лет, пользуется большим авторитетом среди сотрудников, является наставником, награжден медалями «За безупречную службу» всех трех степеней.









საკორესპონდენტო პუნქტიდან გვატყობინებენ

## ხანძარი მაცივარში

ქ. ფოთში მალთაყვის ტერიტორიაზე განლაგებულ შემბოლავი საამქროს მაცივარში გვიან ღამით გაჩნდა ხანძარი.

ხანძარზე პირველი გამოცხადდა პროფესიული სახანძრო ნაწილის მორიგე ქვეგანაყოფი ერთი ავტოცისტერნით, წუთიც და ხანძარზე გამოცხადდა გასამხედროებული სახანძრო ნაწილის მორიგე ქვეგანაყოფი ორი ავტოცისტერნით შ/ს უფროსი ლეიტენანტის დ. ჭოჭუას მეთაურობით, რომელმაც სწორად შეაფასა შექმნილი ვითარება, ერთი ავტოცისტერნა უმალვე მდ. კაპარჭინასთან სახანძრო პირსზე დააყენა, ძალები და საშუალებები გეგმაზომიერად გაანაწილა. მეხანძრეებმა სტიქიას არ მისცეს გავრცელების საშუალება, უვნებელი გადარჩა ამიაკის რეზერვუარებიც და ხანძარი, რომელიც განადგურებას უქადდა სახელმწიფო დოვლათს მალე ლიკვიდირებული იქნა უმნიშვნელო ზარალით.

ხანძრის ქრობის დროს განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ: ათმეთაური რ. მიქაძე, რიგითი მეხანძრეები: მ. ქანთარია და პ. პერესიპკინი, მძღოლი გ. ჩხიტუნიძე. მეხანძრეებთან ერთად აქტიურობდა ობიექტის ხელმძღვანელი ზ. მიქელაძე.

აღსანიშნავია, რომ ხანძარზე არ გასულა ელექტრონაგებობათა სამმართველოს მორიგე პერსონალი, არადა აუცილებელი იყო ელექტრო ჯიხურიდან დენის გამორთვა რაიმე უბედურების თავიდან ასაცილებლად, ამიტომ საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებით დ. ჭოჭუამ ზ. მიქელაძესთან ერთად შეანგრიეს ელექტრო ჯიხურის რკინის კარები და გამორთეს დენი.

შუა ღამე იყო, ქალაქს ეძინა, არსად ჩამი-ჩუმი არ ისმოდა, სტიქიაზე გამარჯვებული მეხანძრეები კი ვალმოხდილნი ბრუნდებოდნენ თავიანთ ნაწილებში.

## მეხანძრეებმა იმარჯვეს

ამას წინათ კოლხეთის სატყეო მეურნეობასთან არსებულ ხე-ტყის მასალათა საშრობ კამერაში ხანძარმა იფეთქა. ხანძარზე დაუყოვნებლივ გავიდნენ მორიგე ქვეგანაყოფები დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის უფროსის მოადგილის, შ/ს უფროსი ლეიტენანტის თ. ხაზალიას მეთაურობით. ხანძრის ქრობა არც თუ ისე იოლი შეიქმნა. საშრობ კამერაში ცეცხლის ალში იყო გახვეული რამდენიმე კუბამეტრი შტაბელებად დაწყობილი დახერხილი ხის მასალა, ადგილი ჰქონდა ძლიერ დაკვამლიანებას. შტაბელებში წყლის ჭავლი ძნელად აღწევდა. მიუხედავად ამისა მეხანძრეებმა იმარჯვეს. ხანძარი ლიკვიდირებული იქნა იმ ფარგლებში რა ვითარებაშიაც მიუსწრეს მას და ამგვარად ხანძრის სტიქიას გადაურჩა დიდძალი სახელმწიფო დოვლათი.

აი რა განაცხადა ჩვენთან საუბარში სატყეო მეურნეობის დირექტორმა ა. ტყეშელაშვილმა: — ავეჯის გასაწყობი ფიგურების დამზადებას ვლამობდით, ყველაფერი გეგმაზომიერად მიმდინარეობდა. საშრობ კამერაში დაცული იყო ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნები. პირველი გამოცდა ჩატარებული გვქონდა, ახლა სრული სიმძლავრით ვაპირებდით მუშაობას, სამწუხაროდ მთელი ჩანაფიქრი და გეგმა ჩაგვეშალა. ვფიქრობ ხანძარი წარმოიშვა კამერაში ღამით ელექტროგამთბობი დანადგარების ჩართულ მდგომარეობაში დატოვებით. უნდა ვაღიაროთ, რომ არასაუწყებო დაცვის ღამის დარაჯები უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან ობიექტის დაცვას.

ლ. ჭოჭუა.

**Когда речь заходит о милиции, о ее суровой и напряженной работе, то самые проникновенные слова адресуют обычно сотрудникам уголовного розыска. И это справедливо. Их работа полна динамики, неожиданных ситуаций, мужества и героизма. О двух в целом обычных эпизодах работы сотрудников уголовного розыска рассказывает начальник ОУР Октябрьского РОВД майор милиции Л. Чичуа.**

## Действовали решительно

**РАБОТА** у наших сотрудников на самом деле напряженная и полная неожиданностей, К примеру, недавно к нам приехал водитель такси и заявил, что приблизительно в 18 часов около здания Октябрьского РК КП Грузии его машину остановили трое юношей и попросили поехать в сторону района Нахаловка. По дороге неизвестные потребовали у него дневную выручку, но, получив отказ, нанесли ему физическое оскорбление, отняли деньги, магнитофонные кассеты, очки и скрылись.

Сразу же была создана оперативная группа, в которую вошли оперуполномоченный ОУР капитан милиции А. Хубулури, младшие инспекторы ОУР старшина милиции Д. Макацария и сержант милиции Г. Лешкашели. Было установлено, что грабители находятся в ресторане «Самгори», празднуют на «позаимствованную» ими чужую дневную выручку.

Они произносили тосты друг за друга, пили за успех, когда к «торжественному» столу подошли сотрудники милиции. Узнав сотрудников милиции, грабители подняли драку. Ломалась посуда, летели бутылки (они уже успели напиться), драка перенеслась на улицу Некрасова. Несмотря на сопротивление, опергруппа привезла «молодчиков» в райотдел.

Грабителями оказались жители города Тбилиси Вепхия Ч., 1971 года рождения, учащийся профтехучилища по подготовке бухгалтеров, Давид М., 1958 года рождения, нигде не работающий, ранее трижды судимый за кражу, а третьим был житель поселка Местиа Миша К., 1963 года рождения, также ранее дважды судимый.

День заканчивался, но в РОВД опять поступил сигнал, на этот раз опергруппа задержала двух наркоманов. С поличным были задержаны житель города Тбилиси Размик М., 1962 года рождения, ранее неоднократно судимый за хранение наркотических веществ, у которого при обыске было обнаружено 16 г кокнара, его сообщник Хаил М., 1968 года рождения, житель г. Акстафа Азербайджанской ССР, который не только употреблял, но и привозил наркотики для реализации. При задержании у него было изъято 5,5 г марихуаны.

Скоро все задержанные предстанут перед судом, а напряженные будни у наших сотрудников продолжаются.

ПО МАТЕРИАЛАМ ГЛАВНОГО ИНФОРМАЦИОННОГО ЦЕНТРА МВД ГССР

# О практике введения должностей участковых инспекторов милиции за счет средств колхозов и совхозов

**В ЦЕЛЯХ** укрепления правопорядка в сельских населенных пунктах, усиления охраны государственного и общественного имущества, прав и законных интересов граждан по инициативе МВД Молдавской ССР Совет Министров республики 26 июля 1989 г. принял специальное постановление о дополнительной численности участковых инспекторов милиции за счет средств колхозов, предприятий и производственных кооперативов.

Данный опрос получил поддержку в МВД СССР, Министерстве финансов СССР и Совете Министров СССР. Признано, что введение должностей участковых инспекторов милиции за счет указанных хозорганов может быть произведено при условии, что их содержание будет осуществляться из фондов оплаты труда (спецфондов) и других расходов.

В соответствии с принятым Советом Министров Молдавской ССР постановлением колхозам, совхозам, предприятиям, организациям и производственным кооперативам республики (с их согласия) разрешено заключить долгосрочные (не менее 5 лет) договоры с исполкомами районных и городских Советов народных депутатов на дополнительное введение должностей участковых инспекторов милиции.

Министерством внутренних дел и Министерством финансов республики разработан типовой договор, который согласован с Госпланом Молдавской ССР. В нем предусматривается ежеквартальное перечисление хозорганом на счет исполкома местного Совета народных депутатов 3,9 тыс. рублей в год на содержание одного участкового инспектора, в том числе 3,1 тыс. рублей за счет единого фонда заработной платы (спецфонда), 0,8 тыс. рублей за счет прочих статей сметы на вещевое, путевое довольствие, командировочные расходы.

Обеспечение участковых инспекторов милиции служебными и жилыми помещениями, радио- и телефонной связью, транспортом, а также их содержание предусмотрено производить в соответствии с действующими в системе МВД СССР нормами табельной положенности на основании Положения о советской милиции, утвержденного постановлением Совета Министров СССР от 8 июня 1983 года.

Установлен порядок, при котором, в случае заключения договора, исполком местного Совета народных депутатов выносит решение о выделении дополнительной численности участковых инспекторов милиции, которое вместе с обязательством о перечислении соответствующих скооперированных денежных сумм для этих целей направляется в МВД МССР. При получении такого решения МВД Молдавской ССР вносит соответствующие изменения в штаты горрайорганов внутренних дел, обеспечивает отбор, назначение и обучение принятых на должности участковых инспекторов, организует их работу.

По состоянию на 9 августа прошлого года в республике заключены договоры на введение в штаты дополнительно 326 участковых инспекторов. Всего планируется ввести таким образом 434 единицы работников милиции.

სპორტი •••••••••••••• СПОРТ •••••••••••••• სპორტი

## პირველად ნაკრებთა დონეზე

**27 მაისს** თბილისის ეროვნულ სტადიონზე შედგა ისტორიული მატჩი საქართველოსა და ლიტვის ფეხბურთელთა ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის. შეხვედრის დაწყების წინ ლეგენდარულ ქართველ ფეხბურთელს ბორის პაიჭაძეს მიულოცეს დაბადების 75-ე წლისთავი და გადასცეს ავტომანქანა „ვოლგა". დიდი ფეხბურთიდან კი გააცილეს ამჟამად საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი ოთარ გაბელია, რომელიც ასევე „ვოლგით" დაასაჩუქრეს.

ეროვნული გუნდების შეხვედრამ საინტერესოდ ჩაიარა და ფრედ დამთავრდა — 2:2.

ლიტველი სტუმრები კიდევ რამოდენიმე მატჩს ჩაატარებენ ჩვენს რესპუბლიკაში. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ ორმა ლიტველმა ფეხბურთელმა სურვილი გამოთქვა ითამაშოს ლანჩხუთის „გურიაში".



## МЯЧ НАД КОРТАМИ

**ПРОДОЛЖАЮТ** успешно выступать юные грузинские теннисисты во всесоюзных соревнованиях в этом сезоне. Во Львове завершился турнир на Кубок г. Львова и призы известной украинской теннисистки многократной чемпионки СССР и Европы, мастера спорта международного класса Л. Савченко. У юношей 1976 — 1977 годов рождения отличились представители клуба «Раши» Грузсовета «Динамо» — И. Сиамашвили и Д. Гогилашвили (оба тренируются у известной в прошлом грузинской теннисистки Р. Абжандадзе).

В финальном поединке победил И Сиамашвили, который завоевал путевку на юношеский чемпионат Европы.

Среди девочек в этой же возрастной группе отличилась юная тбилисская школьница И. Бахтадзе («Мартве»), которая стала обладательницей бронзовой награды.

В Керчи завершился крупный всесоюзный юношеский турнир памяти Героя Советского Союза В. Дубинина. И здесь отличились грузинские спортсмены. Среди участников 1976 — 1977 годов рождения Н. Шавидзе в упорной борьбе победила в финале И. Мартынову (из Киева) и стала победительницей турнира, у ее товарища по команде А. Бурчуладзе серебряная награда среди юношей. Еще одно второе призовое место заняла Н. Налбандян, выступая среди участниц 1978 г. рождения и моложе. Все трое призеров — воспитанники общества «Мартве».

А МАЛАЯНЦ.

იუმორი

●

## „ყურადღებიანი" ქურდები

— **ეცი** ძმაო, ბინის ქურდები, როგორი ყურადღებიანები არიან, განსაკუთრებით მაშინ, როცა ხალხი წასულია მიტინგებზე, მანიფესტაციებზე და იცოცხლე მოქმედებენ შემდგომ...

— არ ვიცი, ძმაო, მე საკმარისია წავიდე ბაზარში ან აფთიაქში, რომ, „ქურდები" იქ დამხვდებიან ხოლმე...

## სხვანაირი განთავისუფლება

— **ბაიბე** ბიჭო, საქართველო უნდა განთავისუფლდესო! ე. ი. გავნთავისუფლდებით: ქურდებისაგან, თაღლითებისაგან, ხულიგნებისაგან და ქორვაჭრებისაგან!..

— რას ამბობ დეიდაჩემო, — მაგათ საერთოდ ხელს ვინ ახლებთ, კანონი მაგათ ხელშია! სხვანაირი თავისუფლება იქნება...

მოამზადა ზ. საყვარელიძემ.

**მერე** იგი აივანზე იდგა.

პირში საშინელი გემო ჰქონდა — მწარე და მწკლარტე.

ახლაღა გაახსენდა — მთელი დღეა პირში ლუკმა არ ჩაუდვია. გიჟურმა დევნამ ყველაფერი გადაავიწყა.

მორჩა. დაესვა წერტილი. მან როგორც სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომელმა, პირნათლად შეასრულა დავალება. აწი გამოძიება დაადგენს დანაშაულის სიმძიმესა და მასთან დაკავშირებულ ყველა ვითარებას. რთული, მომქანცველი მექანიზმი, იგი მხოლოდ და მხოლოდ ფაქტებს ითვალისწინებს. აქედან აქამდე...

მაგრამ არის კი ვინმე, ძირისძირამდე რომ ჩახედავს დამნაშავის სულს? გაითვალისწინებს იმ უკანასკნელ ტყვიას, თავისთვის რომ დაიტოვა დამნაშავემ?

შეცბა.

უსიამო გრძნობა დაეუფლა.

...იგი ტალახში იწვა. მოკუნტული ალბათ ტკივილი იმდენად აუტანელი იყო, განძრევისა ეშინოდა.

— ვიცი ალბათ! — [illegible] ტუჩებს იკვნეტდა დაჭრილი.

— არაფერიც არ იცი შენ! უცებ გაუარა სიშმაგემ მის წინ ახლა მტერი კი არა, სულთმობრძავი ჭაბუკი იწვა. გახსნილი ჭრილობის დანახვამ ერთიანად შეძრა. გაქრა ზიზღი. გაქრა შურისგების სიმძაფრე. არადა, სულ რაღაც ერთი წუთის წინ შეიძლება თავად ყოფილიყო ამ ტყვიის მსხვერპლი!

— მესროლე! — რაღას უცდი! — ამოიხავლა დაჭრილმა.

— დიდი გარეწარი ყოფილხარ! გამოუტანა რომანმა განაჩენი.

სწორედ მაგიტომ უნდა მომკლა!...

რომან გვენცაძე.

ზურგზე მოვიკიდე.

ვიგრძენი მისი სხეული — რაღაცნაირად მჩატე, ერთიანად მოცახცახე. საათს დავხედე. შუადღე იდგა. გამუქდნენ ხეთა ჩრდილები.

ხნულს გავყევი.

შავი იყო ხნული. შავი და მწებადი.

გვიბგარევ სიჭრცეში ძლივს ილანდებოდნენ მთები. ვგრძნობდი მიწის ნოტიო სურნელს.

მიწა სუნთქავდა.

მაგრამ ვერ ვგრძნობდი დაჭრილის სუნთქვას.

მივაღწევ კი უახლოეს საავადმყოფომდე?

„ცოტა კიდევ, ცოტა კიდევ..." ვამბობდი ჩემთვის.

„ცოტა კიდევ"! — თქვა მერე ხმამაღლაც. თითქოს ამ ჭაბუკის გამხნევება სცადა.

მერე, დიდი ხნის მერე იგი მიიღებს ლექსების რვეულს:

„შენ გქონდა სული სპეტაკი, როგორც მიუღწეველი მწვერვალის თოვლი, შენ გქონდა გრძნობით აღსავსე გული და ოცნებებით ზეცაში ქროდი. შენ არ გწყუროდა დემონის ძალა, გძულდა ბოროტი მეფისტოფელი, შენ ახლა ნატრობ ღმერთების ძალას, რომ მტვრად აქციო ირგვლივ ყოველი. რატომ? როდიდან? რაა მიზეზი? რამ შეგაძულა სიკეთე, სიტკბო? რამ გაგიყინა ეგ ცხელი სისხლი? და რამ დააშთო შენს მკერდში სითბო? რამ დაანათლა შენს სულს, არსებას უსასტიკესი დაუნდობლობა, რისი შრალია შენი ასეთი გაბოროტება, სულით ობლობა? ნუთუ ვერ შეძლებს ქვეყნად ვერავინ, რომ დაგიბრუნოს ძველი იერი? ნუთუ არ დარჩა შენს გულში გრძნობა სისასტიკეზე უფრო ძლიერი?"

ამ სტრიქონებს პატიმარი დაწერს...

სწორედ ის, რომანს რომ ესროლა.

შვიდი ტყვია!

შვიდივე მიბრჯნით...

მოძალადეს ძალადობა ღუპავს;

ფულის მოყვარულს — ფული;

სიამეთა მოტრფიალეს — სიამენი...

რად აეკვიატა სადღაც ამოკითხული?

იქ კიდევ უნდა ყოფილიყო რაღაც შეგონება... მაგრამ ველარ გაიხსენა.

ველარ

არადა, შესანიშნავი მეხსიერება ჰქონდა.

— შენ ფიქრობ, მე არ ვიმსახურებ სიკვდილს? — ჰკითხა მაშინ დაჭრილმა.

რომანმა გაიცინა.

— შენ არა ხარ სასიკვდილო კაცი...

— მაგრამ მე დიდი „გრეხი" მაქვს.

— გაქვს. — უმალ დაეთანხმა რომანი.

— მერე?

პოლკოვნიკს გული გაუსკდა. იგი გულით ავადმყოფი იყო.

ორჯერ გადაიტანა ინფარქტი. გამოძიება ამას გაითვალისწინებს.

ესე იგი თხუთმეტი წელი? — ჰერს მიაჩერდა დაჭრილი.

გიორგი სანადირაძე

## აკრძალული თამაშები

ნელი იყო, განძრევისა ეშინოდა. რომანმა მისი ფეხსაცმელები დაინახა. მერე — ამოჩეჩილი ხალათი. მან არაფერი იცოდა, რა მოიმოქმედა დამნაშავემ, უკანასკნელ წუთს რომ ბოლო ვაზნა თავისთვის დაიტოვა. რა იყო ეს? გარდაუვალი სასჯელის შიში? წამის რაღაც მეასედში რომანმა მისი ხელი დალანდა. ხელი თითქოს ტივტივებდა გუბეში. ასეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა შორიდან. სინამდვილეში გუბეში თითქმის არც იყო წყალი. „დააგდე ნაგანი!" — გასძახა რომანმა. არავითარი ნიშანი სიცოცხლისა. „თავს იკატუნებს", გაუელვა მაგრამ იქვე მეორე აზრმაც გაბწკალა. „იქნებ?.. მაგრამ ასე იყო თუ ისე, მას უნდა მოეთავკაცებინა დევნა... იქ, გუბესთან. ბალახებში მტერი იწვა. მას არ გაუზომია მანძილი. ეს ქვეცნობიერად მოხდა. მეექვსე გრძნობა? ალბათ, იგი მექანიკურად ამოქმედდა. მეტის დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. სული მოითქვა, წამოიმართა და გაფრინდა...

ასეთი სიმსუბუქე არასოდეს უგრძვნია.

რა შერჩა? ძონძებში გახვეული უსიცოცხლო სხეული.

არავითარი ნიშანი წინააღმდეგობისა!

პირველი ცივი იმპულსი: მოკვდა?- ფრთხილად გადმოაბრუნა. ტალახში ამოსვრილი სახე. ჩალურჯებული ქუთუთო. ცოცხალია!

სუნთქავს!

მოულოდნელად მიწაზე გაშოტილი ჭაბუკი შეინძრა, კვნესა? კი კვნესა აღმოხდა. მერე ცალი ხელი მუცელზე მიიდო.

—, მომკალი!... — გაისმა ყრუ, ხრინწიანი ჩურჩული.

ახლა დროა ხელბორკილი დავადო — გაუელვა რომანს.

მაგრამ რატომღაც კურტაკი გაუხსნა. სისხლი! მკერდის არეში ხალათი სისხლით იყო გაჟღენთილი.

დაჭრილია!

უმალვე გაჩნდა ეჭვი:

— ვინ გესროლა?

— არავინ.

— გაკვირვება.

— აბა?!

— მე თვითონ...

— რატომ ქენი ეს? — ჰკითხა.

დაჭრილმა წამით გაახილა თვალი — გაილაპლაპა ორმა გავარვარებულმა ბურთულამ.

— რატომ ქენი ეს? — ისევ გაიმეორა რომანმა.

— სულერთია, მაინც მომკლავთ...

— ეს საიდანღა მოიტანე?

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მებრძოლი გუშაგი" № 19-22

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

### გასწორება

**ჩვენი** გაზეთის წინა ნომერში მასალაში „ჩვეული ერთგულებით" გაიპარა შეცდომა. მეორე აბზაცი უნდა იკითხებოდეს ასე: დღეს მინდა გაგაცნოთ თბილისის შს სამმართველოს საპატრულო-საგუშაგო სამსახურის დანაყოფის პოლიტნაწილის უფროსი, მილიციის კაპიტანი მერაბ ბუხრიკიძე.

ინდექსი 66639

НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064, УЛ. ГОГОЛЯ, 23, ТЕЛЕФОНЫ:
ჩვენი მისამართი: თბილისი, 380064; გოგოლის ქ. № 23. ტელეფონები: 95-66-72; 99-1-41-24.

რედაქტორი ა. კოზალაძე

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, იბეჭდება, ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

უე 00915